

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

27.05.2022 წელი

სხდომას ესწრებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - ვერიკო კვირკველია

საბჭოს წევრები: ნათია აფხაზავა, ბესიკ ტაბიძე, ემზარ თევდორაძე, გიორგი ჩახვამე, ია მოქია, კარლო წილოსანი, სპარტაკ კვაჭაძე, ლოლიტა ურუშაძე, კარლო კვიტაიშვილი, გიორგი ხელაძე, ზაზა წულაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო ძიმიგური, ნონა მურვანიძე, ქეთევან წილოსანი, მარინა ნუცუბიძე, ნია კობახიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს სამომავლო გეგმების და გამოწვევების განხილვა და ანალიზი.
2. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის პრიორიტეტების დასახვა.
3. შშმ პირებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გადასადგმელი ნაბიჯების გაანალიზება და სტრატეგიის დაგეგმვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: სხდომის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ პირველ საკითხთან დაკავშირებით სხდომის წევრებს მიმართა სამომავლო გეგმებისა და გამოწვევების კუთხით მათი მოსაზრებების გასაზიარებლად და გადასადგმელი ნაბიჯების ერთობლივად გადასადგმელად.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ საბჭოს მიზანი პირველ რიგში უნდა იყოს გენდერული საბჭოს მუშაობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება მუნიციპალიტეტის მასშტაბით და მუნიციპალიტეტის საჭიროებები გენდერის კუთხით მოწესრიგება ამ საბჭოს მეშვეობით. ასევე მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მზად ვართ მათთან თანამშრომლობისთვის. ასევე მნიშვნელოვანია რომ საბჭომ იმუშაოს გენდერული საბჭოს დადგენილების პროექტზე.

ბესიკ ტაბიძემ ისაუბრა, რომ მერიის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებში სამუშაო აღწერილობაში უნდა მიეთითოს გენდერის კუთხით ინფორმაციის მოძიება და სავარაუდო ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება.

საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ სამუშაო გეგმის ფარგლებში საბჭო აქტიურად ითანამშრომლებს მერიის ადამიანური რესურსების განყოფილებასთან და ყურადღებას მიაქცევს საკადრო პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დაცვას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საბჭომ გადაინაწილოს ფუნქციები და სხვადასხვა მიმართულებით იმუშაოს, იქნება ეს თემატური ჯგუფები, სტატისტიკაზე მუშაობა და მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებში აქტიური მონაწილეობა.

ქეთევან წილოსანმა ისაუბრა რომ აუცილებელია რეალურ სამუშაო პროცესის მართვა მოქალაქეებთან თანამშრომლობით და აქტიური ნაბიჯების გადადგმა.

ემზარ თევდორაძის მოსაზრებით აუცილებელია გამოიყოს საბჭოში ადამიანური რესურსი, რომელიც გადაამზადებს ქალებს თუ როგორ დაგეგმონ კონკრეტული ბიზნესი და მიიღონ შემოსავალი.

აღსანიშნავია, რომ ნია კობახიძე წარმოადგენს სოფლის განვითარების სააგენტოს, გურიის რეგიონალური სამსახურის, ლანჩხუთის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს და გაუწევს კონსულტაციას მოქალაქეებს რომლებიც დაინტერესებული იქნებიან მცირე და საშუალო ბიზნესით.

თავმჯდომარის განცხადებით მისასალმებელი რომ, მუნიციპალიტეტში მოქმედებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის შესახებ დადგენილება რომელიც 15000 (თხუთმეტი ათას) ლარამდე დააფინანსებს დამწყებ და არსებულ ბიზნესს.

ნონა მურვანიძემ ხაზი გაუსვა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ მუშაობას გენდერულ თანასწორობის საბჭოში და გამოკვეთა მათი როლი მოქალაქეებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ასევე პრიორიტეტულად მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაიგეგმოს გენდერული კუთხით.

კენჭი უყარეს დღის წესრიგის პირველ საკითხს:

მომხრე - 18, წინააღმდეგი-0.

სხდომის თავმჯდომარემ **დღის წესრიგის მეორე საკითხზე**თან მიმართებით თქვა, რომ საბჭომ უნდა დასახოს ის პრიორიტეტები რაზე დაყრდობითაც საბჭო გააგრძელებს სამომავლო მუშაობას.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გამოკვეთეს ცნობიერების ამაღლების კუთხით გასატარებელი ღონისძიებები, იქნება ეს ტრენინგები თუ გაცნობითი ხასიათის შეხვედრები.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების ანალიზი გენდერულ ჭრილში:

კენჭი უყარეს დღის წესრიგის მეორე საკითხს:

მომხრე - 18, წინააღმდეგი-0.

შშმ პირებთან დაკავშირებით ,რაც დღის წესრიგის მესამე საკითხში იყო მოცემული, ვერიკო კვირკველიამ განმარტა,რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელია რიგი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები,რათა სრულად იქნეს ადაპტირებული შენობები,ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ადაპტირება და დასაგეგმი და გასაანალიზებელია თუ როგორ დავსახავთ გეგმას,რომლის მიხედვითაც ვიხელმძღვანელებთ და შევძლებთ დასახული მიზნების მაქსიმალურად განხორციელებას.სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თუ რამდენად ადაპტირებულია სამედიცინო დაწესებულებები შშმ პირებისთვის და ხარისხიანად ღებულობენ თუ არა ისინი სამედიცინო დახმარებას.ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით და საბჭოსთან თანამშრომლობით ერთობლივად უნდა მოხსერხდეს პრობლემის მოწესრიგებაზე ზრუნვა.

მარინა ნუცუბიძემ აღნიშნა,რომ აუცილებელია შშმ პირებს ქონდეთ შეუზღუდავად ყველა სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა,რაც გულისხმობს როგორც ტრანსპორტირებას ისე შენობების ადაპტირებას.

ზაზა წულაძემ მიუთითა,რომ აუცილებელია საბჭომ ითანამშრომლოს ინფრასტრუქტურის სამსახურთან,რათა დაპროექტების ეტაპზე გათვალისწინებული იყოს შშმ პირების საჭიროებები და საერთაშორისო სტანდარტები.

მისასალმებელია,რომ უახლოეს მომავალში მოხდება მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია,მათ შორის იგეგმება გარე ლიფტის მოწყობა

კენჭი უყარეს დღის წესრიგის მესამე საკითხს:

მომხრე - 18, წინააღმდეგი-0.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე:

მდივანი:

3.5.2020
5.5.2020

ვერიკო კვირკველია

ნათია აფხაზავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭო

27 მაისი 2022 წელი

12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	11:00	
2	ნათია აფხაზავა	11:00	ნ. აფხაზავა
3	ბესიკ ტაბიძე	11:50	ბ. ტაბიძე
4	ემზარ თევდორაძე	12:10	ემ. თევდორაძე
5	გიორგი ჩახვაძე	11:50	გი. ჩახვაძე
6	ია მოქია	11:50	ი. მოქია
7	ნინო მშვიდლობაძე		
8	კარლო წილოსანი	11:50	კ. წილოსანი
9	ვლადიმერ ნანაძე		
10	სპარტაკ კვაჭაძე	12:10	ს. კვაჭაძე
11	გოგი მორჩილაძე		
12	ლოლიტა ურუშაძე	11:50	ლო. ურუშაძე
13	მაკა მშვიდლობაძე		
14	კახაბერ ასკურავა		
15	კარლო კვიტაიშვილი	11:55	კ. კვიტაიშვილი
16	ალექსანდრე მახათაძე		
17	გიორგი იმნაიშვილი		
18	გიორგი ხელაძე	11:50	გი. ხელაძე
19	ზაზა წულაძე	11:50	ზ. წულაძე
20	ელისო ჭიჭინაძე		
21	დარეჯან ბურჭულაძე	11:10	დ. ბურჭულაძე
22	ირმა მგელაძე		
23	ნინო ძიძიგური	11:50	ნ. ძიძიგური
24	ნონა მურვანიძე	11:10	ნ. მურვანიძე
25	ლია კვიტაიშვილი		
26	ნინო ბარამიძე		
27	ქეთევან წილოსანი	11:40	ქ. წილოსანი
28	ინეზა კვაჭაძე		
29	მარინა ნუცუბიძე	11:40	მ. ნუცუბიძე
30	ნია კობახიძე	11:40	ნ. კობახიძე